

საქართველოს კანონი

„ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“
საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. “ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ” საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე №15 19.04.2005, მუხ.96) მე-7 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. აზარტული და მომგებიანი თამაშობების ნებართვის გაცემასა და გაუქმებას, მათში ცვლილებების შეტანასა და უწყებრივ სანებართვო რეესტრში გატარებას „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ამ კანონის შესაბამისად ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შემოსავლების სამსახური (შემდგომში – შემოსავლების სამსახური).“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2010 წლის პირველი აპრილიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი